შესყიდვის ელექტრონული პროცედურის

დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

შოკოლადის და ტკბილეულის შესყიდვის შესახებ

15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტი

15842000 - შოკოლადი და ტკბილეული

ქ.თბილისი
2020 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ფარგლებში შოკოლადის და ტკბილეულის შესყიდვას ახორციელებს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს მიერ ქ. თბილისის ტერიტორიაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რომელთა სრული ჩამონათვალი მისამართების მითითებით მოცემულია დოკუმენტაციის დანართი N3-ში და დანართ N5-ში).

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტია - სხვადასხვა ტკბილეული (სასაჩუქრე ნაკრები). შესასყიდი საქონლის საორიენტაციო რაოდენობაა - **58 902 შეფუთვა.** (საბავშვო ბაგა-ბაღების მიხედვით რაოდენობა განსაზღვრულია დანართ N3-ში).

მუხლი 3. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის პირობები, გამარჯვებული მონაწილის გამოვლენა

3.1 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ მომხმარებლებს.

3.2 შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პირმა სისტემაში უნდა ატვირთოს მის მიერ შეთავაზებული ტკბილეულის ტექნიკური მაჩვენებლები (თანახმად დოკუმენტაციის დანართი N2-ისა) და ორგანიზაციის რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად.

<u>შენიშვნა: დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი ვალდებულია ელექტრონული პროცედურის ძირითადი დროის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა წარმოადგინოს შემოთავაზებული პროდუქტ(ებ)ის ერთი ერთეულის ნიმუში, მისამართზე: ქ.თბილისი , მიცკევიჩის ქ. N29-29ა, მე -3 სართული.</u>

3.3 პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს ფასების ცხრილი დანართი N4-ის შესაბამისად.

3.4 შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პირის მიერ შემოთავაზებული შოკოლადი და ტკბილეული უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტაციის დანართი N2-ით დადგენილ მოთხოვნებს.

3.5 თითოეული საბავშვო ბაგა-ბაღისათვის საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მიმართვიდან 2 (ორი) კალენდარულ დღეში.**

3.6 შესყიდვის ელექტრონული პროცედურა ჩატარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება 1 (ერთი) შეფუთვა ტკბილეულის ფასზე.

3.7 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში 1 (ერთი) შეფუთვა ტკბილეულის საწყისი სავაჭრო ფასია 7,30 (შვიდი ლარი და 30 თეთრი) ლარი. შესყიდვის საერთო საწყისი სავაჭრო ფასია 429 984,60 (ოთხას ოცდაცხრა ათას ცხრაას ოთმოცდაოთხი ლარი და 60 თეთრი) ლარი.

3.8 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირება, სხვა ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები.

3.9 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს და ამასთან, დააკმაყოფილებს დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში ორი ან მეტი მონაწილის მიერ თანაბარი უმცირესი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმას, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

3.10 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილე პირის მიერ წარდგენილი წინადადების ან/და სხვა დოკუმენტების განცხადებასთან ან/და დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომპანია დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3.11 იმ შემთხვევაში, თუ კომისია მიიჩნევს, რომ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება, კომისიას უფლება აქვს უარი თქვას აღნიშნულ მასთან ხელშეკრულების გაფორმებაზე.

3.12 კომისია წარმოდგენილ წინადადებებს განიხილავს გონივრულ ვადაში და შედეგები გამოქვეყნდება სისტემის მეშვეობით.

3.13 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სხვა მიმწოდებლისაგან შოკოლადის და ტკბილეულის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით, მიმართოს კომისიას თუ გამარჯვებული მიმწოდებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას. კომისიის თანხმობის მიღების შემთხვევაში შოკოლადის და ტკბილეულის შესყიდვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.14 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

3.15 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია მისი გამარჯვებულად გამოვლენისთანავე, დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები და საქონლის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3-ში მითითებულ ობიექტებზე.**

3.16 შოკოლადის და ტკბილეულის შესყიდვის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციები გამარჯვებულ პრეტენდენტს მიმართავენ ხელშეკრულების დადების მოთხოვნით, გამარჯვებულად გამოვლენიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობები

4.1 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტაციით.

4.2 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი შოკოლადის და ტკბილეულის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საკუთარი შეხედულებისამებრ საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის თანდასწრებით დამატებითი კვლევისათვის მოახდინოს ნიმუშის აღება-დალუქვა და შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში ლაბორატორიული კვლევისათვის გადაგზავნა. უარყოფითი დასკვნისა და გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში უარი განაცხადოს მთლიანი პარტიის მიღებასა და ანაზღაურებაზე, ხოლო მიმწოდებელებს დააკისროს პირგასამტეხლო და ყველა ხარჯის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება წუნდებული და საკვებად უვარგისი საქონლის მიწოდებისაგან.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით და შესყიდვის ელექტრონული პროცედურის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანიზაცია მიმართავს კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

4.5 კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი საქონლის სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

4.6 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,07%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.7 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და ელექტრონული პროცედურის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასყიდი საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

4.8 შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ფარგლებში საქონლის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიწოდებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) მიხედვით (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) მიწოდების დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4 . 9 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი)არ გამოიყენება.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით.

საკონტაქტო პირი: თათია მარგველაშვილი; ტელ: 599 00 24 23; ელ.ფოსტა: tatamargvelashvili@gmail.com

ტექნიკური მაჩვენებლების შესავსები ფორმა, რეკვიზიტები

1. ტკბილეულის ტექნიკური მახასიათებლები

2. ტკბილეულის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი

3. პროცედურაში მონაწილე ორგანიზაციის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ოფისის და მობილური ტელეფონის ნომრები, E-mail, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ / /

ბ.ა. ხელმომწერის სახელი, გვარი

ტკბილეულის ტექნიკური მახასიათებლები

თითოეული შეფუთვა უნდა შედგებოდეს ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ 450 გრ. ტკბილეულისგან, მათ შორის:

- შოკოლადის მინი ფილა არანაკლებ 30 გრ. (რძიანი, შავი)
- ვაფლის ბატონი არანაკლებ 60 გრ.
- შოკოლადის ბატონი არანაკლებ 40 გრ.
- შოკოლადი არანაკლებ 100 გრ. (მინიმუმ 5 სახეობა)
- კარამელის კანფეტი სხვადასხვა შიგთავსით (მინიმუმ ოთხი სახეობა) არანაკლებ 170 გრ.
- ჟელეს კანფეტი არანაკლებ 50 გრ.

- თითოეული სახეობა ტკბილეული უნდა იყოს ქარხნული შეფუთვით და არ უნდა შეიცავდეს ბავშვთა კვებაში დაუშვებელ საღებავებს. კერძოდ, თანხვედრაში უნდა იყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N 301/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების“ შესახებ რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ტრანსცხიმებს (შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული), კონსერვატებს, გმო-ს და ორგანიზმისთვის სხვა საშიშ ქიმიურ ელემენტებს.

- სურსათის უვნებლობა, ეტიკეტირება, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს. (მათ შორის საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N 301/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების“ შესახებ და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებით დამტკიცებული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“).

- მოწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის 60%, მინიმუმ 3 თვე მოწოდების მომენტისთვის.

- პრეტენდენტმა სისტემის მეშვეობით შემოთავაზებულ წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პროდუქტის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, სეს-ის მიერ გაცემული შესაბამისობის სერთიფიკატი (მთავრობის დადგენილება N533 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე).

- ტრანსცხიმების არარსებობის დამადასტურებელი სერთიფიკატი პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გამარჯვებულად გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

- თითოეული 450 გრ. ტკბილეულის ნაკრები უნდა იყოს შეფუთული შემსყიდველთან შეთანხმებულ ბრენდირებულ მუყაოს ყუთში საახალწლო თემატიკით, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სახელით ბრენდირებული წარწერით.

მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა

N	შესყიდვის ობიექტი	სავარაუდო რაოდენობა	ღირებულება (ლარში)	
		ბავშვი	ერთი შეფუთვა	სულ
1	სასაჩუქრე ნაკრები			

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ / /
ბ.ა ხელმომწერის სახელი, გვარი